# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 105

ქალაქი ქუთაისი 28 ოქტომბერი 2026 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2025 წლის
ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28–ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის №51 განკარგულების საფუძველზე:

**მუხლი 1.** შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

(საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. №105
„---“ 30.10 2026 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2026 წლის 28 ოქტომბრის
№ 105 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული
მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია საქმიანობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულებისა და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

კომისია, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს, განიხილავს სხვა სამართლებრივი აქტების პროექტებს და მათთან დაკავშირებით ამზადებს შესაბამის მოსაზრებებსა და დასკვნებს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №14 განკარგულებით განისაზღვრა იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობა, წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის პირველ ანგარიშს. კომისია შედგება საკრებულოს 10 წევრისგან.

კომისიის საქმიანობის ორგანიზებულობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად 2026 წლის 26 იანვრის სხდომაზე დამტკიცდა კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა, რომლითაც განისაზღვრა კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და თანმიმდევრობა. გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო საზედამხედველო უფლებამოსილების განხორციელებას, კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების, მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და სამეწარმეო იურიდიული პირების საქმიანობის ანგარიშების მოსმენას.

2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე, იურიდიულ საკითხთა კომისიამ 19 სხდომა გამართა. სხდომებზე განხილულ იქნა 63 საკითხი, მომზადდა 55 დასკვნა.

საანგარიშო პერიოდში კომისიის ყველა სხდომა იყო საჯარო. სხდომების უმრავლესობას ესწრებოდნენ აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები, რაც ხელს უწყობდა საკითხების სრულყოფილ განხილვას, ინფორმაციის გაცვლასა და კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობას. სხდომების შესახებ ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით ქვეყნდებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალური ქსელში საკრებულოს გვერდზე, ხოლო სხდომების ოქმები ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, საჯარო ინფორმაციის განყოფილებაში.

საანგარიშო პერიოდში კომისიის საქმიანობა უწყვეტ და ორგანიზებულ რეჟიმში მიმდინარეობდა. დაგეგმილი სხდომები ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. არცერთი სხდომა არ ჩაშლილა და არ გადადებულა. აღნიშნული მიუთითებს კომისიის საქმიანობის სათანადო ორგანიზებაზე, სამუშაო პროცესის თანმიმდევრულ დაგეგმვასა და კომისიის წევრების პასუხისმგებლიან დამოკიდებულებაზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიმართ. სხდომების შეუფერხებლად ჩატარებამ უზრუნველყო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების დროული განხილვა, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და კომისიის უფლებამოსილებების ეფექტიანი განხორციელება.

კომისია აქტიურად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბ[illegible] ფორმირების პროცესში, განიხილავდა საბიუჯეტო საკითხებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის ფინანსური პრიორიტეტების განსაზღვრაში.

საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება საკრებულოში პოლიტიკური ფრაქციების სტრუქტურული ცვლილებების შედეგად კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის საკითხების მოწესრიგება იყო. ფრაქციების შემადგენლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა გავლენა იქონია საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის განსაზღვრასა და წევრთა განაწილებაზე, რის გამოც საჭირო გახდა შესაბამისი კვოტების არაერთგზის გადაანგარიშება და კომისიების შემადგენლობაში ფრაქციების მიერ წარდგენილი ცვლილებების კანონიერებისა და სისწორის გადამოწმება.

აღნიშნული საკითხები კომისიამ განიხილა საკრებულოს 2025 წლის 17 ნოემბრის, 5 და 10 დეკემბრის, აგრეთვე, 2026 წლის 9 და 17 ივლისის სხდომებზე. განხილვისას ძირითადი ყურადღება დაეთმო ფრაქციული ცვლილებების გათვალისწინებით კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის დაცვასა და წარდგენილი ცვლილებების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას.

ფრაქციული სტრუქტურის ცვლილებებმა და მათთან დაკავშირებულმა პროცედურებმა საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაზარდა კომისიის ადმინისტრაციული დატვირთვა. აღნიშნულმა პროცესმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა კომისიის როლი საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის, ცვლილებების დროული განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების გამჭვირვალედ მიღების თვალსაზრისით. ამ მიმართულებით კომისიის საქმიანობა მომავალშიც მოითხოვს ოპერატიულ, თანმიმდევრულ და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამის რეაგირებას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, ინტენსიური მუშაობა გასწია საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების მიმართულებით. მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, სამსახურებისა და მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების ანგარიშები, კერძოდ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის აპრილამდე გაწეული საქმიანობის შესახებ;
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის მაისამდე გაწეული საქმიანობის შესახებ;
3. ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის“ ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობისა და 2026 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ;
4. შპს „საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“-ის“ ანგარიში 2025 წლის განმავლობაში და 2026 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ;
5. ა(ა)იპ „ფრენბურთის კლუბი ქუთაისის აიეტის“ ანგარიში 2025 წლის განმავლობაში და 2026 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ;
6. ა(ა)იპ „ხელბურთის კლუბი ქუთაისი 2015-ის“ ანგარიში 2025 წლის განმავლობაში და 2026 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ;
7. შპს „საფეხბურთო კლუბი მართვეს“ ანგარიში 2025 წლის განმავლობაში და 2026 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ.
8. ა(ა)იპ „ქუთაისის ქალთა ჰოკეის კლუბი „უქიმერიონის“ ანგარიში 2025 წლის განმავლობაში და 2026 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ.

წარმოდგენილი ანგარიშების მოსმენა და განხილვა ემსახურებოდა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებას, მათი საქმიანობის შეფასებასა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაძლიერებას.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების პროექტები, მათ შორის:

1. საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან, ახალი წევრების უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებული საკითხები;

2. საკრებულოს აპარატისა და მერიის საშტატო ნუსხების, საჯარო მოსამსახურეთა და პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ არაერთი დადგენილების პროექტი (№23 და №24 დადგენილებები);

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №1 დადგენილების ცვლილების პროექტი, რომლითაც რეგლამენტი შესაბამისობაში მოვიდა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 2025 წლის ცვლილებებთან;

4. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების“ შესახებ №86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლისათვის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭებისა და №1 საჯარო სკოლისათვის „ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის გაცემის პროექტები;

6. ქალაქ ქუთაისში მამია ორახელაშვილის ქუჩისათვის სახელის შეცვლისა და მისთვის ავთანდილ დეკანოიძის სახელის მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტი;

7. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №182 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებდა დამტკიცებული გენერალური გეგმის კონცეფციის ძირითადი გეგმარებითი რეკომენდაციების ტექსტურ და გრაფიკულ ნაწილში ცვლილებების განხორციელებას კერძოდ, ტექსტურ ნაწილში შეიცვალა მე-13, მე-14 და მე-15 პუნქტები, ხოლო გრაფიკულ ნაწილში – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ზონირების რუკა. აღნიშნული ცვლილებების მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ ქალაქის განვითარება დაეფუძნოს არა მხოლოდ ცალკეული სამშენებლო პროექტების საჭიროებებს, არამედ ქალაქის სივრცით, სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ინტერესებს. მკაფიოდ განსაზღვრული ზონირება და განაშენიანების პირობები ქმნის წინაპირობას პროგნოზირებადი სამშენებლო გარემოს ჩამოყალიბებისთვის, ხელს უწყობს საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვას, ამცირებს არათანმიმდევრული განაშენიანების რისკებს და უზრუნველყოფს საზოგადოებრივი სივრცეებისა და ქალაქის ისტორიული იერსახის დაცვის ხელშეწყობას.

გენერალური გეგმის კონცეფციის სრულყოფა მნიშვნელოვანია ქუთაისის მდგრადი და დაბალანსებული განვითარებისათვის, რადგან იგი ქმნის ქალაქის ტერიტორიის რაციონალური გამოყენების, სამშენებლო პროცესების კოორდინაციისა და მოსახლეობისათვის უსაფრთხო, კომფორტული და ფუნქციურად გამართული ურბანული გარემოს ჩამოყალიბების საფუძველს.

8. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გატანილი სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალების განთავსებისა და/ან რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი.

ზემოაღნიშნულმა დადგენილებამ სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცია ქალაქში მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული და ადვილად აალებადი/ან ამტვერებადი მასალების განთავსება და რეალიზაცია. მსგავსი ობიექტების ქალაქის ნებისმიერ წერტილში უკონტროლოდ განთავსება აზიანებს ქალაქის იერსახეს. დადგენილებით განისაზღვრა აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისთვის დასაშვები ტერიტორიები და შესაბამისი შეზღუდვები, დადგინდა გარემოსდაცვითი და ტექნიკური მოთხოვნები.

განისაზღვრა ზედამხედველობაზე უფლებამოსილი ორგანო და პასუხისმგებლობის საფუძვლები. რეგულირების მიზანია გარემოსდაცვითი რისკებისა და დაბინძურების შემცირება, ქალაქის ურბანული სივრცის მოწესრიგება და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა.

9. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროთა რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, ცვლილებების შედეგად დამტკიცდა უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის განახლებული წესი, აგრეთვე, უსახლკარო პირად და უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმები. კომისიამ შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაცია, რომლებიც წარედგინა აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც სრულად იქნა გათვალისწინებული საბოლოო რედაქციის მომზადებისას.

იურიდიულ საკითხთა კომისიის საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ წარმოდგენილი პროექტების დადებითად ან უარყოფითად შეფასებით – კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მათ სამართლებრივ, რედაქციულ და ტექნიკურ გამართულობას. საანგარიშო პერიოდში კომისიამ პროექტების განხილვისას შეიმუშავა კონკრეტული შენიშვნები და რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ სამართლებრივ და ტექნიკურ უზუსტობებთან, ტერმინოლოგიურ შეუსაბამობებსა და ბუნდოვან ფორმულირებებთან დაკავშირებით გამოთქმული ყველა შენიშვნა აღმასრულებელმა ორგანომ გაითვალისწინა საბოლოო რედაქციების მომზადებისას, რაც კომისიასა და აღმასრულებელ ორგანოს შორის კონსტრუქციულ და შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლობაზე მიუთითებს. ამასთან, ადასტურებს კომისიის ჩართულობის პრაქტიკულ მნიშვნელობას სამართლებრივი აქტების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკრებულოს საქმიანობაში კანონიერების პრინციპის დაცვის ხელშეწყობის თვალსაზრისით.

იურიდიულ საკითხთა კომისია მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში საქმიანობას წარმართავს განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად, რომელთა მიზანია კომისიის უფლებამოსილებების ეფექტიანი განხორციელება, სამართლებრივი აქტების ხარისხის გაუმჯობესება, საზედამხედველო მექანიზმების გაძლიერება და ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა. აღნიშნული პრიორიტეტების განხორციელება უზრუნველყოფს კომისიის საქმიანობის შემდგომ განვითარებას, სამართლებრივი აქტების სრულყოფას, საზედამხედველო მექანიზმების ეფექტიან გამოყენებასა და მუნიციპალიტეტში არსებული სამართლებრივი საკითხების დროულ და სათანადო გადაწყვეტაში კომისიის აქტიურ მონაწილეობას.

**შენიშვნა:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-13 სხდომაზე, მ/წლის 28 ოქტომბერს, წინამდებარე ანგარიში წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯემალ ბიბილეიშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია